



საქმე №1აგ/798-16

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

8 აგვისტო, 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: მარინა ხოლოაშვილი
მოსამართლეები: სპარტაკ პავლიაშვილი
გიორგი გოგინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ **ი. ს-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ **ი. ს-ეს** შორის დადებული საპროცესო შეთანხმება: **ი. ს.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის - თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2 (ორი) წელი განესაზღვრა თავისუფლების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (წელი) ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და **ი. ს-ეს** დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2 (ორი) წელი განესაზღვრა თავისუფლების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (წელი) ჩაეთვალა



პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 (ხუთი) წელი.

მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 (ხუთი) წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საეიძო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ივნისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ **ი. ს-ეს** შორის დადებული საპროცესო შეთანხმება: **ი. ს.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი და **ი. ს-ეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, 2 (ორი) წელი განესაზღვრა თავისუფლების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (წელი) ჩათვალა პირობით, 5 (ხუთი) წლით გამოსაცდელი ვადით.

2015 წლის 14 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის №14/04/01 განკარგულებით მსჯავრდებული **ი. ს.** შეწყალებული იქნა და გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

2016 წლის 1 აგვისტოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მსჯავრდებულმა **ი. ს-მ**, რომელმაც 2015 წლის 8 ივლისის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამავე კოდექსის 260-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ითხოვა განაჩენის გადასინჯვა და ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

სააპელაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს



სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენით **ი. ს-ეს** მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მის მიერ ჩადენილი ქმედება განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას.

2015 წლის 8 ივლისის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 31 ივლისს, ამავე კოდექსის 260-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ანალოგიური მუხლით და კვალიფიკაციით ჩადენილ ქმედება გადავიდა მძიმე კატეგორიის დანაშაულში და ამ მიმართებით მსჯავრდებულ **ი. ს-ეს** მდგომარეობა სამართლებრივად შემსუბუქდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის ახალ რედაქციასთან და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და ამ მიმართებით განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ახ. რედ.) სასჯელის ზომად ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას. პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან მსჯავრდებულ **ი. ს-ეს** მიმართ, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განსაზღვრულია სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, იგი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სანქციის ფარგლებშია მოქცეული. ამდენად, განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატა უთითებს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენში, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ივნისის განაჩენში, ვინაიდან მსჯავრდებულ **ი. ს-ეს** საბოლოო სასჯელი აღნიშნული განაჩენით განესაზღვრა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის სსსკ-ის 310-ე, 314-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:



მსჯავრდებულ **ი. ს-ის** შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენსა და ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ივნისის განაჩენში **ი. ს-ეს** მიმართ შეტანილ იქნეს ცვლილება:

მსჯავრდებულ **ი. ს-ის** ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განაჩენი და ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

პალატის განაჩენის კანონიერ ძალაში შედის გამოტანისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას.

პალატის განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

მარინა ხოლოაშვილი

მოსამართლეები:

სპარტაკ პავლიაშვილი

გიორგი გოგინაშვილი